



საქართველო  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო



27/10/2017

32-07-4-201710271630



N 32

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
დადგენილება №32  
2017 წლის 27 ოქტომბერი  
ქ. ლანჩხუთი

**„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის N19 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) 28/06/2017 სარეგისტრაციო კოდი 190040000.35.112.016301) შევიდეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები“ დანართის „პირველადი სტრუქტურული ერთეულის (სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური)“ „მეორადი სტრუქტურული ერთეულის (განათლებისა და კულტურის განყოფილება)“ ცხრილიდან ამოღებულ იქნას „მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (წამყვანი სპეციალისტი)“ 1 (ერთი) საშტატო ერთეული. „პირველადი სტრუქტურული ერთეულს (სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური)“ დაემატოს „მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის“

(წამყვანი სპეციალისტი)“ 1 (ერთი) საშტატო ერთეულის გრაფა და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

პირველადი სტრუქტურული ერთეული. ( სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური)	10	
პირველი რანგი. პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამსახურის უფროსი)	1	1350
მესამე რანგი. პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (მთვარი სპეციალისტი)	3	750
მესამე რანგი. მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი. (წამყვანი სპეციალისტი)	1	650
მეორადი სტრუქტურული ერთეული. (სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება)	3	
მეორე რანგი. მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი (განყოფილების უფროსი)	1	1000
მესამე რანგი. პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (მთვარი სპეციალისტი)	1	750
მესამე რანგი. მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (წამყვანი სპეციალისტი)	1	650
მეორადი სტრუქტურული ერთეული (განათლებისა და კულტურის განყოფილება)	2	
მეორე რანგი. მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი (განყოფილების უფროსი)	1	1000
მესამე რანგი. პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (მთვარი სპეციალისტი)	1	750

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.  
ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი  
საკრებულოს ბიურო

